<u>პროექტი</u>

საქართველოს კანონი

„წყლის რესურსების მართვის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე

მუხლი 1. „წყლის რესურსების მართვის შესახებ“ საქართველოს კანონში (საქართველოს საკანონმდებლო მაცნე (www.matsne.gov.ge), 20.07.2023, სარეგისტრაციო კოდი: 400000000.05.001.021003) შეტანილ იქნეს შემდეგი ცვლილება:

1. 37- ე მუხლის პირველი და მე-2 პუნქტები ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„1. საქართველოს მთავრობამ უზრუნველყოს:

ა) 2026 წლის 1 სექტემბრამდე შემდეგი კანონქვემდებარე ნორმატიული აქტების მიღება:

ა.ა) „მდინარეთა აუზების/სააუზო უბნების საზღვრების დამტკიცების თაობაზე“;

ა.ბ) „სააუზო მართვის გეგმების შემუშავების, განხილვისა და დამტკიცების პროცედურის შესახებ“;

ა.გ) „წყლის რესურსების მონიტორინგის დაგეგმვისა და განხორციელების წესი“;

ა.დ) „პოტენციური წყალდიდობების რისკის ქვეშ მყოფი არეალების შეფასების შესახებ“;

ა.ე) ტექნიკური რეგლამენტი „ზედაპირული წყლის ობიექტებში ურბანული და სამრეწველო ჩამდინარე წყლების ჩაშვების პირობები“;

ა.ვ) „ტექნიკური რეგლამენტი „წყალარინების (საკანალიზაციო) სისტემაში ჩამდინარე წყლის ჩაშვებისა და მიღების პირობებისა და დამაბინძურებელ ნივთიერებათა ზღვრულად დასაშვები ნორმები“;

ა.ზ) „ტექნიკური რეგლამენტი – „მიწისქვეშა მტკნარი სასმელი წყლის მოპოვების მიზნით ჭაბურღილების აღრიცხვის წესი“;

ა.თ) „სააუზო მართვის საკონსულტაციო-საკოორდინაციო საბჭოების შექმნისა და საქმიანობის წესის თაობაზე“.

ბ) 2027 წლის 1 სექტემბრამდე შემდეგი კანონქვემდებარე ნორმატიული აქტების მიღება:

ბ.ა) „წყლის ობიექტების იდენტიფიკაციისა და საზღვრების დადგენის წესი“;

ბ.ბ) „ტექნიკური რეგლამენტი „ადამიანის მოხმარებისთვის განკუთვნილი წყლის ხარისხის შესახებ“;

ბ.გ) „ტექნიკური რეგლამენტი „წყალდაცვითი ზოლის შესახებ“;

ბ.დ) „სასმელი წყლის წყალმომარაგების ობიექტების სანიტარიული დაცვის ზონის დადგენისა და მის ფარგლებში საქმიანობის განხორციელების წესის დამტკიცების თაობაზე“;

ბ.ე)„ზედაპირული წყლის ხარისხის სტანდარტების დამტკიცების თაობაზე“;

ბ.ვ) „ზედაპირული წყლის ობიექტებზე სპეციალური წყალსარგებლობის ნებართვის გაცემის წესისა და პირობების დამტკიცების თაობაზე.“

2. **მინისტრმა უზრუნველყოს:**

ა) 2026 წლის 1 სექტემბრამდე : „წყლის გამოყენების სახელმწიფო აღრიცხვის წარმოების წესის“ მიღება.

ბ) 2027 წლის 1 სექტემბრამდე შემდეგი კანონქვემდებარე ნორმატიული აქტების მიღება:
ბ.ა) „ადამიანის მოხმარებისთვის განკუთვნილი წყლის მდგომარეობის ანგარიშის შინაარსის შესახებ“ ბრძანების გამოცემა;
ბ.ბ) წყლის რესურსების მართვის სფეროს მარეგულირებელი შესაბამისი მეთოდოლოგიების დამტკიცება;
ბ.გ) ზედაპირულ წყლებზე ნიტრატებით დაბინძურებული ან დაბინძურების რისკის ქვეშ მყოფი ზონების იდენტიფიცირება და ნიტრატებისადმი მოწყვლადი ზონების განსაზღვრა;
ბ.დ) ნიტრატების მიმართ მოწყვლადი ზონებისთვის კარგი სასოფლო-სამეურნეო პრაქტიკის წესების განსაზღვრა და შესაბამისი სამოქმედო გეგმების შემუშავება;
ბ.ე) მიწისქვეშა წყლებზე ნიტრატებით დაბინძურებული ან დაბინძურების რისკის ქვეშ მოქცეული ზონების იდენტიფიცირება და ნიტრატებისადმი მოწყვლადი ზონების განსაზღვრა;
ბ.ვ) ურბანული ჩამდინარე წყლებით ზემოქმედების რისკის ქვეშ მოქცეული სენსიტიური არეალებისა და აგლომერაციების იდენტიფიცირება.“

2. 42-ე მუხლის მე-2 და მე-3 პუნქტები ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:
„2. ამ კანონის პირველი–მე-4 მუხლები, მე-6 მუხლის პირველი პუნქტი, მე-2 პუნქტის „ა“-„გ“, „ე“-„კ“, „მ“, „ნ“, „რ“–„უ“ ქვეპუნქტები, მე-4–მე-7 პუნქტები, მე-8 პუნქტის „ა“ და „ბ“ ქვეპუნქტები და მე-9 პუნქტი, მე-7 მუხლი, მე-8 მუხლის პირველი და მე-3 პუნქტები, მე-9 მუხლის პირველი პუნქტი, მე-10 მუხლი, მე-11 მუხლის პირველი პუნქტი, მე-12 მუხლი, მე-13 მუხლის „ა“, „გ“–„ვ“ ქვეპუნქტები, მე-14 მუხლის პირველი პუნქტი, მე-15 მუხლი, 22-ე მუხლი, 23-ე მუხლის მე-2–მე-4 პუნქტები, 24-ე და 25-ე მუხლები, 28-ე მუხლი, 29-ე მუხლის „ა“–„დ“ და „ვ“–„ი“ ქვეპუნქტები, 30-ე მუხლი, 31-ე მუხლის პირველი პუნქტის ,,ა”-,,დ”, მე-2 პუნქტის „ბ“–„დ“ ქვეპუნქტები და მე-3-მე-მე-5 პუნქტი, 32-ე მუხლი, 33-ე მუხლი, 34-ე მუხლი, 36-ე მუხლი, 37-ე მუხლის მე-5 პუნქტი და 41-ე მუხლი ამოქმედდეს 2026 წლის 1 სექტემბრიდან.

3. ამ კანონის მე-5 მუხლი, მე-6 მუხლის მე-2 პუნქტის ,,დ'' ,,ლ" ,,ო'' ,,პ" ,,ჟ'' ,,ფ" ,,ქ" ,,ღ"„ყ“ ,,შ" ,,ჩ" ქვეპუნქტები და მე-3 პუნქტი, მე-9 მუხლის მე-2 და მე-3 პუნქტები, მე-11 მუხლის მე-2 და მე-3 პუნქტები, მე-13 მუხლის ,,ბ" ქვეპუნქტი, მე-14 მუხლის მე-2, მე-3 და მე-4 პუნქტები, მე-16 მუხლი, მე-17 მუხლის პირველი პუნქტი, მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტი, მე-3–მე-5 და მე-7–მე-10 პუნქტები, მე-18-21-ე მუხლები, 23-ე მუხლის პირველი პუნქტი, 26-ე და 27-ე მუხლები, 29-ე მუხლის ,,ე'' ქვეპუნქტი, 31-ე მუხლის მე-2 პუნქტის ,,ა" ქვეპუნქტი, 35-ე მუხლი, 38-ე - მე-40 მუხლები ამოქმედდეს 2027 წლის 1 სექტემბრიდან.”

მუხლი 2. ეს კანონი ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

საქართველოს პრეზიდენტი **მიხეილ ყაველაშვილი**